გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება №159
2023 წლის 8 სექტემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირის ხელშეკრულებით განსაზღვრული ქირის წლიური საფასურის ოდენობის გაზრდის თაობაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს რიგი ხელშეკრულებები, რომლითაც მუნიციპალიტეტის ქონება სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებებით, გაცემული აქვს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობისათვის. მითითებული ხელშეკრულებების ნაწილის დადებიდან გასულია მრავალი წელი. „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით. „გორის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 მარტის №20 დადგენილებით განსაზღვრულია, რომ გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ის ოდენობით. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიის დავალებით განხორციელდა ისეთი მიწის ნაკვეთების ხელახალი აუდიტორული შეფასება, რომელთა დადებიდან გასულია მრავალი წელი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დღეის

მდგომარეობით ეკონომიკური პირობები არსებითადაა შეცვლილი და სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებები საკმაოდ გაზრდილია.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მედეია ქართველიშვილს პ/ნ59001014114 და ნუზარ თედიაშვილს პ/ნ 59001050370 შორის 2003 წლის 12 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულებით (მიწის ნაკვეთზე: ს/კ 66.45.30.100; მისამართი: ქალაქი გორი მდინარე მტკვარსა და რკინიგზის ხიდს შორის მდებარე ტერიტორია ; 338 კვ.მ.) ქირის წლიური ფასი განსაზღვრულია 175,32 (ას სამოცდათხუთმეტი ლარი და 32 თეთრი) ლარის ოდენობით. გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შევიდეს იჯარის ხელშეკრულებით დადგენილი ქირის ფასში და იჯარის ქირის წლიური ოდენობა განისაზღვროს 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და მედეია ქართველიშვილს პ/ნ59001014114 და ნუზარ თედიაშვილს პ/ნ 59001050370 შორის 2003 წლის 12 თებერვალს დადებული იჯარის ხელშეკრულებით (მისამართი: ქალაქი გორი მდინარე მტკვარსა და რკინიგზის ხიდს შორის მდებარე ტერიტორია ; ს/კ 66.45.30.100; 338 კვ.მ.) განსაზღვრული იჯარის წლიური ქირის ფასი ნაცვლად 175,32 (ას სამოცდათხუთმეტი ლარი და 32 თეთრი) ლარისა განისაზღვროს 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**